საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/105 "23" ივლისი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე შ. კაკაურიძისათვის მოსამართლის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ

გორის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე შალვა კაკაურიძეს 2020 წლის 5 აგვისტოს ეწურება მოსამართლის უფლებამოსილების ათწლიანი ვადა. მოსამართლე შ. კაკაურიძის წარმოებაშია 39 სისხლის სამართლისა და 127 სამოქალაქო სამართლის საქმე. მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, შ. კაკაურიძის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში უნდა განხორციელდეს მის წარმოებაში არსებული საქმეების სხვა მოსამართლეებისათვის გადაცემა, რაც მნიშვნელოვნად შეაფერხებს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესს, ვინაიდან გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლის 11 საშტატო ერთეულიდან ვაკანტურია 5 საშტატო ერთეული. გასათვალისწინებელია, რომ მოსამართლე შ. კაკაურიძე მონაწილეობას იღებს მიმდინარე (2020 წლის ივნისის თვის) მოსამართლეთა შესარჩევ კონკურსში. მოსამართლის თანამდებობაზე ახალი ვადით გამწესების შემთხვევაში შ. კაკაურიძეს ექნება მის წარმოებაში არსებული საქმეების დასრულების შესაძლებლობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, გორის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე შალვა კაკაურიძეს 2020 წლის 6 აგვისტოდან გაუგრძელდეს მოსამართლის უფლებამოსილების ვადა მისი მონაწილეობით დაწყებულ საქმეებზე საბოლოო გადაწყვეტილებების გამოტანამდე, მაგრამ არაუმეტეს 2020 წლის ივნისის თვის მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსის შედეგების გამოცხადებისა.

გიორგი მიქაუტაძე
საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი